

ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა გამოვლენისა და დაცვის
მექანიზმები საქართველოში

მაგდა მარგიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაგდა მარგიანი

2021 წელი

აბსტრაქტი

საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული სამართლებრივი პოლიტიკა დღესდღეობით საკმაოდ აქტიურად მუშაობს და ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, სწორედ ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა გამოვლენა და მათი დაცვა წარმოადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვები ქვეყნის მომავალს განსაზღვრავენ, მათი დაცვა, ყველა ფორმის ძალადობისაგან, მუდამ პრიორიტეტული და მნიშვნელოვანია. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ არასრულწლოვნები და განსაკუთრებით, მცირეწლოვნები, წარმოადგენენ მეტად მოწყვლად ჯგუფს, რადგან მათ ხშირ შემთხვევაში, არ შეუძლიათ საკუთარი თავის დაცვა ოჯახში ძალადობისაგან და საჭიროებენ საზოგადოებისა და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დახმარებას.

საქართველოში გაბატონებული მენტალური შეხედულებების გათვალისწინებით, რაც ოჯახის წევრთა უფლებრივ დიფერენცირებას გულისხმობს, ყველა ორგანო, რომელიც ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა გამოვლენისა და დაცვის პროცედურებში მონაწილეობს, დაინტერესებული უნდა იყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა (განსაკუთრებით ბავშვთა) დაცვის მექანიზმების განვითარებით და უნდა მუშაობდეს, ამ კუთხით ქვეყანაში არსებული სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ.

ნაშრომის ფარგლებში შეფასებულია ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა გამოვლენისა და დაცვის მექანიზმების ეფექტიანობა, კერძოდ, არსებული ინსტრუმენტები რეალურად იცავს თუ არა ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს საქართველოში. კვლევის მთავარ მიზანსაც, სწორედ, ამ მექანიზმების გაცნობა და მათი ეფექტიანობის შეფასება წარმოადგენს. ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა გამოვლენისა და დაცვის მექანიზმების შეფასება მოიცავს, როგორც პრაქტიკულ, ისე სამართლებრივ ასპექტებს.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: დოკტრინალური, შედარებით-სამართლებრივი, აღწერითი, სისტემური და შეფასების მეთოდები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოში ნამდვილად არსებობს გარკვეული ნორმატიული ბაზა არასრულწლოვანთა დასაცავად, თუმცა მხოლოდ სამართლებრივი რეგულაციების არსებობა საკმარისი არ არის სახელმწიფოს მიერ დასახული მიზნის ეფექტურად მისაღწევად და ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დასახმარებლად. არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პრობლემურია კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება, შესაბამის უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დასაცავად ყოვლისმომცველი და სრულყოფილი მიდგომა. ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობის კუთხით ჩატარებული კვლევების შედეგად ასევე გამოვლინდა, ის კონკრეტული გამოწვევები, რაც ხელს უშლის მსხვერპლ ბავშვთა დაცვისა და რეაბილიტაციის პროცესების ეფექტურად წარმართვას. კვლევის ფარგლებში აქცენტი გაკეთდა იმაზეც, თუ რა მიმართულებებით საჭიროებს ცვლილებებს არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესი.

ნაშრომის მთავარი საძიებო სიტყვები: ოჯახში ძალადობა, ბავშვთა დაცვა, მსხვერპლი, მექანიზმები, რეფერირება

ABSTRACT

The legal policy against domestic violence in Georgia is working quite actively today and one of the main tasks of the country is to identify and protect children victims of domestic violence. As children determine the future of the country, protecting them from all forms of violence is always a priority and important. It should also be noted that minors, and especially babies, are a highly vulnerable group because they are often unable to protect themselves from domestic violence and need assistance from the public and relevant government agencies.

Considering the prevailing mental views in Georgia, which implies the legal differentiation of family members, all bodies involved in the detection and protection of child victims of violence, it should be interested in developing mechanisms for the protection of victims of domestic violence (especially children) and should work to improve the legal situation in the country in this regard. The paper evaluates the effectiveness of mechanisms for detecting and protecting victims of domestic violence, in particular, whether the existing tools actually protect children victims of domestic violence in Georgia. The main goal of the research is to get acquainted with these mechanisms and evaluate their effectiveness. Evaluation of mechanisms for identifying and protecting children victims of domestic violence includes both practical and legal aspects.

The article uses the following research methods: doctrinal, comparative legal, descriptive, systematic and evaluative methods. However, the mere existence of legal norms is not enough to effectively achieve the goal set by the state and help children who have suffered from domestic violence. The given practice shows that effective law enforcement, coordinated work between relevant departments and a comprehensive and integrated approach to the protection of child victims of domestic violence are problematic. Research on domestic violence against children has also identified specific problems that prevent effective protection and rehabilitation of child victims. The study also focuses on areas in which there is a need to change the referral process for minors.

Key words of the article: Domestic violence, child protection, victim, mechanisms, reference.

მადლობა

მადლობა ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, გოგა ხატიაშვილს, გამოჩენილი ყურადღებისთვის, გაწეული დახმარებისთვის, გაცემული რეკომენდაციებისა და მხარდაჭერისთვის.